



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 4206

22/08/2019

4206-09-2-201908221310



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მ/შ ბატონ ვლადიმერ ნანაძეს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის NN260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

პროექტი მომზადებულია მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსის ალექო კირვალიძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახურის უფროსის ლევან ჩხაიძის

მოხსენებითი ბარათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში ერთიანი სანაპირო ზოლის გეგმიურად და კომპლექსურად განვითარების მიზნით საჭიროა სანაპირო ზოლში სანიტარული დაცვის ზონების პროექტის შედგენა და მის საფუძველზე მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, არსებული გამოწვევების შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავება. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად თუ ტერიტორიისთვის გენერალური გეგმა არ არსებობს განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს იმავე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს საკრებულოში წარსადგენი პროექტის მომზადება

ლევან ჩხაიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1605

19/08/2019

1605-09-3-201908191440



მიმართვა

2019 წლის 2 აგვისტოს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მომზადებულ N1486 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ საკრებულოსთან უნდა შეთანხმდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე.

დაგეგმვის საჭიროება გამოიწვია იმან, რომ ვინაიდან არც კურორტს და არც სოფელს არ გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია კურორტის განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

დაგეგმვის მიზანია სანიტარული დაცვის ზონებისა და შესაბამისი რეჟიმების დადგენა და მის საფუძველზე მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, არსებული გამოწვევების შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები

გეგმარებითი ერთეულის კვლევა

გეგმარებითი ერთეულის განსაზღვრა

განვითარების სტრატეგია

გეგმის კონცეფციის შემადგენლობა და მათი შემუშავების გეგმა-გრაფიკი

საჭიროების შემთხვევაში გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში და სხვა დოკუმენტაციის მომზადება.

ლევან ჩხაიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური